ეკოლოგია და კულტურა*

გამოსვლა «სსრკ მეცნიერებათა აკადემიის» საერთო კრებაზე (მოსკოვი, 27–29 დეკემბერი, 1988 წ.), რომელიც მიეძღვნა „ეკოლოგიის“ პრობლემების განხილვას

ქალბატონებო და ბატონებო, ძვ. კოლეგებო,

ჩემს გამოსვლაში მინდა შევეხო „*ეკოლოგიის*“ პრობლემებს სოციალურ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თვალთახედვით.

ტერმინი „*ეკოლოგია*“ თავისი ეტიმოლოგიური შინაარსით ნიშნავს მეცნიერებას „*გარემოცვის*“, „*გარემოს*“ შესახებ. თვით ცნებას „*გარემოცვისას*“ აზრი აქვს გარკვეული ცენტრის, ცენტრალური წერტილის დაშვების შემთხვევაში, რომელშიც ადამიანი იმყოფება და საიდანაც იგი აკვირდება ამ „*გარემოცვასა*“ თუ „*გარემოს*“.

„*ეკოლოგიის*“ ამგვარი განსაზღვრის შემთხვევაში უნდა დავადგინოთ, თუ ადამიანის რა ხასიათის „*გარემოსთან*“, „*გარემოცვასთან*“ გვაქვს საქმე: არის ეს „*გარემო*“ ფიზიკური და ბიოლოგიური, თუ საკუთრივ ადამიანური – კულტურულ-სოციალური. ამის შესაბამისად საჭიროა გავარჩიოთ ადამიანის ფიზიკურ-ბიოლოგიური ეკოლოგია და ეკოლოგია კულტურულ-სოციალური, რომელიც განიხილავს „*ეკოლოგიის*“ ჰუმანიტარულ ასპექტებს და რომლისთვისაც, როგორც *აკადემიკოსმა დიმიტრი ლიხაჩოვმაც* აღნიშნა, შეიძლებოდა „***კულტურის ეკოლოგია***“ გვეწოდებინა. „*კულტურის ეკოლოგია*“ განიხილავს ადამიანს არა როგორც ბიოლოგიურ ობიექტს, რომელზეც ზემოქმედებას ახდენს ფიზიკური გარესამყარო, არამედ როგორც სოციალურ-კულტურულ ობიექტს, რომელიც გარკვეულ ურთიერთობებს ამყარებს ადამიანურ გარემოსთან და რომელზედაც ზემოქმედებას ახდენს ესა თუ ის სოციალური გარემო.

«*საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის*» ეკოლოგიისადმი მიძღვნილ სპეციალურ სესიაზე ჩვენ მთელ ყურადღებას მივაპყრობთ „*ფიზიკურ-ბიოლოგიურ ეკოლოგიას*“ და თითქმის მთლიანად უგულებელვყოფთ „*კულტურის ეკოლოგიის*“ პრობლემებს, მაშინ როდესაც მთელი მსოფლიოს ხალხებს, და განსაკუთრებით მცირერიცხოვან ერებს, ფიზიკური გარემოს სიწმინდის დაცვაზე არანაკლებ მწვავედ აწუხებს ეროვნული

---

* *1989 წ. 13 იანვარი*; *ამ თემაზე იხ. აგრეთვე ჩვენი შემდეგდროინდელი პუბლიკაციები*: “*Ecology and Culture*”. – გაზ. “**The Georgian Times**“, No. 010, 11.05, თბილისი, 1994, გვ. 9; „**კულტურის ეკოლოგია**“. – კრებ. „***ᲝᲩᲮᲐᲠᲘ***“, თბილისი, 2002, გვ. 113–115; “***Globalization and the Ecology of Culture***”. ***საერთაშორისო ფორუმი «გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი»***. *მასალები, თბილისი, 2004, გვ. 114.*

კულტურისა და ენის გადარჩენის, თავიანთ ესთეტიკურ და ეთიკურ ფასეულობათა დაცვის საკითხები.

ამგვარ ენათა და კულტურათა მოსპობა და გადაშენება ისეთივე კატასტროფაა კულტურულ-ეკოლოგიური თვალსაზრისით, როგორც გარესამყაროს უკიდურესი დაბინძურება – ფიზიკურ-ბიოლოგიური ეკოლოგიის თვალსაზრისით.

ჩვენ „*წითელ წიგნში*“ შეგვაქვს ცხოველთა და მცენარეთა სახელები, რომელთაც გადაშენება ემუქრებათ და ამით ვაფრთხილებთ კაცობრიობას, მაგრამ ხშირად გვავიწყდება თვითონ ადამიანი და მისი კულტურა, როდესაც გულგრილად შევცქერით ხალხებისა და მათი ენების გადაშენებას, ხალხებისა, რომლებიც თავად წარმოადგენენ კაცობრიობის ისტორიისა და საკაცობრიო კულტურის ნაწილს. ასეთი ხალხების და ენების დაკარგვით კაცობრიობა უფრო ღარიბი და ერთფეროვანი ხდება, კაცობრიობა კარგავს რაღაც ნაწილს თავისი ისტორიული მეხსიერებისას, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ხალხების ეროვნულ გრძნობებზე, რომელთაც ისტორიულმა ბედმა არგუნა, გამხდარიყვნენ ცოცხალი მოწმენი თავიანთი ეროვნული ენებისა და ეროვნული კულტურების შებღალვისა, ზოგჯერ კი – სრული გადაშენებისა დიდ სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა ფარგლებში, ამ სახელმწიფოთა ოფიციალური ეროვნული პოლიტიკის გაუკუღმართების შედეგად. ხშირად სწორედ ეს იწვევს გარეშე დამკვირვებლისათვის გაუგებარ ეროვნულ მღელვარებას, რომელსაც თავისი ინტენსივობითა და ექსტენსივობით ვერ შეედრება ვერავითარი უკმაყოფილება, გამოწვეული მძიმე ეკონომიკური თუ სხვა პირობებით. თანამედროვე სამყაროს საერთო-ეროვნული კულტურულ-ენობრივი ფაქტორი განსაზღვრავს კულტურული ეკოლოგიის პრობლემათა კომპლექსს. საჭიროა სასწრაფოდ შევქმნათ დაკარგვის საშიშროების წინაშე მყოფი ენების და ხალხების „*წითელი წიგნი*“ და დაუყოვნებლივ მივიღოთ სამეცნიერო-ორგანიზაციული ზომები ამ ენებისა და ხალხების გადასარჩენად.

ყველაფერი ეს აქტუალური და არანაკლებ მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებისა და კულტურებისათვის; ყველა ეს პრობლემა არანაკლებ ეხება ჩვენს სინამდვილესაც. ამასთანავე ეხება არა მარტო ეგრეთ წოდებულ „*მცირერიცხოვან ხალხებს*“, არამედ, გარკვეული აზრით, რესპუბლიკურ ეროვნულ ენებსა და კულტურებსაც. საკავშირო აკადემიის „*ლიტერატურისა და ენის განყოფილებაში*“, მაგალითად, იყო მსჯელობა იმის თაობაზე, თუ როგორ იზღუდება ისეთი ენის გამოყენების სფერო, როგორიცაა ბელორუსული – ერთ-ერთი აღმოსავლურ-სლავური ენა (რუსულთან და უკრაინულთან ერთად); ბელორუსული ლიტერატურული ენა სრული დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ორენოვნების ხანგრძლივი პროცესის შედეგად. ასეთი ბედი შეიძლება სხვა

ეროვნულ ენებსაც ეწიოს.

ამასთან დაკავშირებით, საკითხთა მთელი კომპლექსი დგება ეროვნულ ენათა და კულტურათა სტატუსის შესახებ, მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ფედერაციული საბჭოთა სახელმწიფოს ფარგლებში, რასაც ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს ასეთი ფედერაციის თვით არსებობისათვის, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე ეკონომიკურ და სხვა სოციალურ პრობლემებს.

ყველა ეს საკითხი შედის სწორედ „*კულტურის ეკოლოგიის*“ სფეროში, და მე შემომაქვს წინადადება, მოვიწვიოთ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ასეთივე სპეციალური სესია, რომელიც მიეძღვნება გლობალური მასშტაბის კულტურულ-ეკოლოგიური პრობლემის განხილვას ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის თვალსაზრისით, რათა ჩამოვაყალიბოთ „*კულტურის ეკოლოგიის*“ მეცნიერული საფუძვლები. ეს უკანასკნელი ფიზიკურ-ბიოლოგიურ ეკოლოგიასთან კომპლექსში ქმნის გლობალურ ეკოლოგიურ დისციპლინას, რომელსაც შეიძლება „*ადამიანისა და საზოგადოების ეკოლოგია*“ ეწოდოს.

მექმნება შთაბეჭდილება, რომ საკავშირო აკადემიაში გარკვეულწილად უგულებელყოფენ ჰუმანიტარულ დისციპლინებს. საბუნებისმეტყველო დისციპლინებს მეტი ყურადღება ექცევა. ამ მხრივაც ჩვენ ჩამოვრჩებით მსოფლიო მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, სადაც მეცნიერების კულტურულ-ჰუმანიტარული ასპექტები სულ უფრო და უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენენ. როგორც ამბობენ, XXI საუკუნის მეცნიერება, თუ იგი საერთოდ დროს გაუძლებს და იარსებებს, არსებითად *ჰუმანიტარული* იქნება. ჩვენი «**აკადემიაც**» უნდა მიჰყვეს მსოფლიო მეცნიერების განვითარების ამ ტენდენციებს, უკეთ გაიაზროს ჰუმანიტარული დარგების ძირეული მნიშვნელობა მეცნიერების საერთო განვითარებისათვის და გამოიტანოს სათანადო სამეცნიერო-ორგანიზაციული დასკვნები; უნდა შეწყდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართ ე.წ. „*ნაშთის პრინციპის*“ განხორციელება (“*остаточный принцип*”), როგორც ეს აღინიშნა *აკადემიკოს დ.ს. ლიხაჩოვის* გამოსვლაში. ჰუმანიტარულ მეცნიერებებს უნდა დაუმკვიდროთ საკადრისი ფუნდამენტური ადგილი მეცნიერული ცოდნის სისტემაში და, ამის შესაბამისად, ჩვენს «**მეცნიერებათა აკადემიაში**».